ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 235

15 ივნისი
"– – –"– – – – – – – – 2021 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისში, მელაანის V შესახვევი, №22, კორპუსი №3-ში და კორპუსი №4-ში (საკადასტრო კოდი: №01.17.08.016.121 და №01.17.08.016.119) მდებარე ზოგიერთი უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 6 ნოემბრის №340 განკარგულების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადების და ქალაქ თბილისში, მელაანის V შესახვევი, № 22, კორპუსი №4-ში (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01.17.08.016.119.01.502) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის, 118[1] მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 62-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, მელაანის V შესახვევის, №22, კორპუსი №4-ში (საკადასტრო კოდი: №01.17.08.016.119.01.502) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების, „ქალაქ თბილისში, მელაანის V შესახვევი, №22, კორპუსი №4-ში (საკადასტრო კოდი: №01.17.08.016.119.01.502) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 19 მაისის №21.643.723 განკარგულების ბათილად ცნობისა და „ქალაქ თბილისში მელაანის V შესახვევი, №22, კორპუსი №3-ში და №4-ში (საკადასტრო კოდი: №01.17.08.016.121 და №01.17.08.016.119) მდებარე ზოგიერთი უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 30 ოქტომბრის №20.1286.1592 განკარგულების

ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 2 ივნისის № 21.739.826 განკარგულებით გათვალისწინებული: ქალაქ თბილისში, მელაანის V შესახვევის №22, კორპუსი №4-ში, პირველ სართულზე მდებარე 40.85 კვ.მ. ფართობის უძრავი ქონების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი № 01.17.08.016.119.01.502) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - ერთ ლარად პრივატიზებაზე მოქალაქე გოჩა სანაყოშვილთან (პირადი № 01011054448) დასადები ზემოაღნიშნული განკარგულების დანართის სახით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქალაქ თბილისში, მელაანის V შესახვევი, №22, კორპუსი №3-ში და კორპუსი №4-ში (საკადასტრო კოდი: №01.17.08.016.121 და №01.17.08.016.119) მდებარე ზოგიერთი უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 6 ნოემბრის №340 განკარგულება, მოქალაქე გოჩა სანაყოშვილის (პ.ნ: 01011054448) ნაწილში.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე